



კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების ინიციატივით და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციასთან „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ერთად განხორციელდა პროექტი „მეგობრული მომავალი“. პირველი ეტაპი ითვალისწინებდა პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პერსონალისათვის ინგლისური ენის უფასო სამთვლიან კურსებს. მეორე ეტაპის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებულ პროგრამაში „უახლესი მიღწევები სწავლა-სწავლებასა და ტექნოლოგიებში“. ტრენინგი ჩატარეს ნებრასკის უნივერსიტეტის პროფესორმა ტომას ქარდველმა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ტრენინგის მონაწილეებს სექტემბერში სერტიფიკატებს გადასცემენ ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოსა“ და აფხაზეთის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები.